

149

А. В. СУПЕСИДZE



В Я Р И -
Я Н Т Н Ы Й
О Р И Я -
М Е Н Т

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО «ЦОДНО»
МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ С С Р
ТБИЛИСИ 1963


დ. ვ. სევენიკი

მრეკველ-
სენსე-
მრნე-
მუნობი

K 593
5

საქართველოს სსრ კულტურის საზოგადოებას
საქართველო ბიბლიოთეკისთვის - ბ მ დ ე ე
თბილისი 1963





1954
10771

შ ე ს ს ა ლ ი

წინამდებარე გამოკვლევაში შეჯამებულია ავტორის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგები ვარიანტული შესამოსავი ფილის კომპოზიციის დარგში. მრავალსახას, ანუ ვარიანტულს ისეთ ორნამენტულ ფილას გვწოდებთ, რომლის ნახატიც საშუალებას გვაძლევს ავაწყოთ ხალიჩოვანი, ლენტისებრი და ცენტრული ორნამენტის მრავალი სახესხვაობა.

გამოკვლევა არ ისახავს მიზნად საერთო მთავარიტორულ შესწავლას; მასში განზოგადებულია შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება არქიტექტურული ორნამენტის დარგში.

პირველი დაკვირვების ვარიანტული ორნამენტის აგებისა და გამოყენების საკითხებზე გამოაქვეყნა პროფ. ა. ვ. ფილიპოვიძე 1924 წელს. ხუროთმოძღვრების საეკლერო აკადემიამ 1939 წელს გამოსცა მისი ნაშრომი*, რომელშიც მოკლედ იყო განხილული მრავალვარიანტული ორნამენტის აგების მეთოდი. ეს წიგნი გათვალისწინებული იყო როგორც სახელმძღვანელო დეკორატიული-ორნამენტული შემოქმედების დასაწერად არქიტექტურასა და საშაბატო პრაქტიკის სხვა დარგებში**.

ღონისწივით რა ავტორის დიდ ღვაწლს მრავალსახა ორნამენტის აგების მთელ რიგ თავისებურებათა გამოვლენაში, არ შეიძლება არ ითქვას მის მიერ მოწოდებული ორნამენტული მოტივების დაბალი მხატვრული ხარისხის შესახებაც. აღბათ ეს ვარაუდობა ვაძლავს იმის მიზეზი, რომ ამ საინტერესო გამოკვლევის გამოქვეყნებამ ვერ შელწყობილ მასში განხილული მეთოდების დასწრვის სახე-რითომოდერგობა და მხატვრული შემოქმედების პრაქტიკაში.

1951 წელს გამოქვეყნდა პროფ. ა. ბარისნიკოვისა და ი. ლამინის დახმარებ სახელმძღვანელო კომ-

პოზიციის საფუძვლებზე, განკუთვნილი საშაბატო-სახელონო სასწავლებელთათვის.

იმ მრავალსახა ორნამენტების გარდა, რომლებიც ა. ფილიპოვის წიგნიდანა გამოყენებული, წიგნში მოყვანილი კიდევ ერთი სახის კრამიკული ფილებისაგან შედგენილი ჩუქურთმის რამდენიმე ვარიანტი*.

შეუბნავად იჩისა, რომ ამ ანაწყობ ორნამენტში გამოყენებულია რელიეფური ფილების ოთხი ტიპი (კვადრატული და რომბული როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სახესხვაობისა), მისი მხატვრული ხარისხი შეტად მდარეა. წიგნის ტექსტში ვარიანტული ორნამენტის შესახებ არაფერია ახალი და საინტერესო.

ჩვენი მუშაობის წინასწარი შედეგები შესამოსავი კვადრატული ფილის ისეთი უნივერსალური ნახატი გამოიმუშავების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა წართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე, მოხსენდა თბილისის საშაბატო აკადემიის შესწავლამდე სამეცნიერო სესიის 1952 წლის აპრილში. შეტად შემოკლებული სახით იგი 1953 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში «Архитектура СССР»**.

ვარიანტული ორნამენტის საკითხი ჩვენ წინაშე წამოიჭრა ქ. თბილისში ჩელუკინელთა ქუჩაზე აგებულ საცხოვრებელი სახლების პროექტებზე მუშაობისას. ამ შენობებში დატანებული ნიშების ჩუქურთმითი მოპირკეთება განზრახული იყო კრამიკული ფილებით. ცხადია, რომ მათი ნახატი უნივერსალის ამ პირობებში შეიძლებოდა მოეცა დიდი ეკონომიური ფაქტორი: ხალიჩოვანი ჩუქურთმის რამდენიმე სახე შეიძლებოდა ერთი ტიპის ფილისაგან აეკეთებინა. მაგრამ ეკონომიული ფილების დაწინაურება ვერ მიზარდა და ისინი ორივე სახლში ცემენტის ნაკეთობით იქნა შეცვლილი.

* Проф. А. П. Барышников, И. В. Лямин, Основы композиции, Трудрезерват, М., 1951, стр. 117, 118, 135.

** Л. Сумбадзе, Обликопные орнаментованные плиты, журн. «Архитектура СССР» № 4, 1953, стр. 30.

ამ წიგნის ორბის სხვებზე ენაზე გამოქვეყნდა პრალში ჟურნალ «სოვეტსკა არქიტექტურა» 1954 წლის პირველ ნომერში.

* А. В. Филиппов, Построение орнамента с большим числом вариантов, Изд. Всесоюзной академии архитектуры, М., 1937.

** А. В. Филиппов, ცტ., გვ. 3

ამ ფილების ექსპერიმენტული მოდელები ზომით 50x50 მმ დაახლოებით არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის სამხატვრო მუშევრობის გამოფილებაში ტანბე-ლათა პირველი სერია, რომელიც ნაპროში ქვესტუ-შედეგითაა სწორედ ამ კერამიკული მოდელების ფოტო-რეპროდუქციები (ტაბ. 1—3).

ჩვეულებრივ ექსპერიმენტულ-კომპოზიციური მე-შარბის ფილები ამ დარგში რომელიმე გათვლისწინე-ბული ან აგრეთვე ფერადი ფილებისა და აქურული ელე-მენტების შექმნის სფეროში დაგროვილი გამოცდილებაც, გამოქვეყნდა 1955 წელს ეურხალ «საბჭოთა ხელოვნებისა პირველი ნომერი»^{*}.

საჩინო კავშირის არქიტექტურის აკადემიის უფ. ისტო-რიკოსა და თეორიის ინსტიტუტმა 1956 წელს გამოაქვეყნა გ. ბორისოვისის წიგნი «შენიშვნების ინდუსტრიო-ლოჯისა და არქიტექტურული მიმართულებები»^{**}, ამ წიგ-ნის ბოლო კარში (არქიტექტურა და სტანდარტები) მო-ცემულია სადღესასწაულო გამოკვლევა არქიტექტურული ფორმების სტანდარტიზაციის წიგნზე. ავტორი ამ მხრივ არჩევს ორ ძირითად, პრინციპულ განსხვავებულ მე-თოდს: არქიტექტურული დეტალების მეთოდს, რომლის მიხედვითაც უნიფიცირებული უნდა იქნეს დამთავრებუ-ლი არქიტექტურული დეტალი (კარნისი, კარისა და ფან-ჯრის საბურთა და სხვ.) და არქიტექტურული ელემენტე-ბის მეთოდს. უკანასკნელს თავისებურება მდგომარეობს «მკირე ზომის ელემენტების გამოყენებაში, რომლებსა-ც დამატებით შედგის მოხრდოლი არქიტექტურული დე-ტალები». უნიფიცაციის ამ ორი მეთოდის ახალს ავტო-რი მბძავს მათივე დესკრიპციის მიხედვით, რომ «არქიტექტურული ელემენტების (და არა დეტალების) სერიის შექმნა და მათი მასობრივად, გარჩეული წესით დახაზვით შეიძლება არა მარტო შემცირებული ნაკეთობების ტიპების საერთო რაოდენობა, არამედ უხ-რველიყოფილიყო უფრო მრავალსახეობანი არქიტექტუ-რის შექმნა»^{***}.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ზეენ მიერ არქიტექ-ტურული ელემენტების მეთოდით შექმნილ ვარიანტულ ორნამენტებს და მისი მხატვრული ღირსებების ახსნისას ხაზს უსვამს იმას, რომ ელემენტის შტრეფები აქ დაფიქრე-ბულია მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებზე^{****}. წიგნში მოყვანილია პირველი სერიის ორნამენტების რე-პროდუქციები ჩვენი სტატიიდან.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ავტორის ექსპერიმენტე-ბიც ამ სფეროში^{*****}, თუმცა მათს რეალურ დანერგვას წინ გადაუდება მთელი რიგი ნიაბმდგომანი, რის გა-შეც მათი განხორციელება ამ მიზნისადა.

ჩვენი ტაბულების მეორე სერიაში წარმოდგენილი მრ-ავალსახეობანი ორნამენტული ფილა (ტაბ. 7—16) გამოყენებუ-ლი იყო თბილისის მღერობისკეცისა და ენერგეტიკის სა-მეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში საქართვე-ლის სამხედრო განზ, პორტის შიდა კედლების შესა-მისადა. ფილის იგივე შტრეფი გამოყენებულია ყოფ. კვების

მრწველობის სამინისტროს სხდომათა დარბაზში არქ. მ. ნ. გეპრინცივის მიერ და შეტარებული მხატვრუ-ლი შემოქმედებით (წილები) არქ. ვ. ა. კვდიის შენობაში¹.
33—40-ე ტაბულებზე მოცემულია ავტორი ნა-მოსხმული ორნამენტული შტრეფი ხეის მიერ გამოყენე-ბული იყო ქ. თბილისში ტელმასის ქუჩაზე აგებული საც-ხორციელო სახლის ადრეაგვი კარიბში.

1959 წელს დეკორატიული ხელოვნების სპეციალურ კურსში გამოქვეყნდა მოკლე წერილი მაგისტრის სათა-მამო «არქიტექტურული ორნამენტის» შესახებ². ეს გა-სართობი მთლიანად აგებულია ვარიანტული ორნამენტის გამოყენებით³.

საკითხის ისტორიის სისრულისათვის შეიძლება დავე-მტოვო, რომ რელიეფური ორნამენტული ფილების მიერ სერია (ტაბ. 7—16), თამამრისაგან ჩამოსხმული, გამოფე-რული იყო პირველ სამშენებლო გამოფენაზე (თბილისში), რომელიც 1955 წელს ორჯინიკის სახ. კულტურისა და დასკვნების პარკში მოეწყო. მესამე სერიაში მოცემული შტრეფი (ტაბ. 17—32) ორგერი ხატობაში ორნამენტით გამოყენებული იყო მოსაპირკეთებელი ფილების საცდელი ნიმუშების დასაზრუნებლად ნავთულის კერამიკულ კომ-პონენტში.

საწყებაროდ, ეს ცდები ექსპერიმენტის ფარგლებს ეერ გასცდოდა.

ამ თემაზე მუშაობის დროს ავტორის მოიხდა რამდენ-იმე მოხსენების წიგნებზე ვარიანტული ორნამენტის კომ-პონენტის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე თბილ-სის სამხატვრო აკადემიაში და საქართველოს არქიტექ-ტურის კავშირში.

უმრავლესობა ვარიანტული ორნამენტის ნახატებისა, რომლებიც აქ წარმოდგენილი ტაბულებშია მოცემული, შესარღვევლი იყო ჩვენი მიერ არქიტექტურული ელემე-ტების დამოუკიდებელი პროექტში. ორნამენტული ფილების სახეობათა შორე წაწილ შექმნილია ექსპერიმენტული მუშაობის პროცესში, ვარიანტული ორნამენტის ფილების თეორიული საკითხების კვლევასთან დაკავშირებით. ამი-ტომ ვსაგები უნდა იყოს, რომ ავტორი ამ მასალას, რო-მელიც ტაბულებშია წარმოდგენილი, არ ფილის სრული-ფილად და ვარგისად პრაქტიკაში უშელოდ დანერგვისა-თვის; ამ ნარკვეში კომპოზიციული ვერ იბოვის აგრეთვე საყ-მით მასალის ამ ფილების (ან სხვა უნიფიცირებული ელე-მენტების) წარმოების ტექნოლოგიის შესახებ.

ამ მოწოდებული მხატვრული პროდუქციის პრაქტიკა-ში დასაერგებად საჭიროა ელემენტების შევლება კონსერ-ტულ პირობებთან, გამოსაყენებელი მასალის თვისებებ-თან, ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან და წარმოების თავ-იკებურებებთან.

ვიმედოვნებო, რომ ეს თავისებური გამოკვლევა, რო-მელიც სამი დარგის — ხუროთმოძღვრების, გეომეტრიისა და მხატვრული კომპოზიციის შეხების სახეობებისა აღ-მოცემული, გაულოებებს ახლავრდობას ახალი დავკრი-ველები და შექმნელებით მიების სურვილებს, ხელს ეფუყვას უნიფიცირებული მრავალსახე ნაკეთობების დახერგვას ჩვენი ქვეყნის სამხატვრო მრწველობისა და არქიტექტურული შემოქმედების პრაქტიკაში.

* ლ. სუმბაძე, მრავალსახე ორნამენტული ფილები, ეურხ. საბჭოთა ხელოვნება, № 1, 1955, გვ. 22.

** Г. Борисовский, Индустриализация строительства и архитектурное наследие, Гос. изд. литературы по строит. и archit., М., 1956.


*** Г. Борисовский, cit., გვ. 183.

**** Г. Борисовский, cit., გვ. 186.

***** Г. Борисовский, cit., გვ. 178.

* Л. Сумбадзе, В помощь эстетическому воспитанию де-тей, журн. «Декоративное искусство СССР», № 4, 1959, გვ. 26.

** 1961 წელს ტესუბელიერ კონტრუსხ ამ სათამაშის პირვე-ლი პრეზი მიწვდა.



პაკინაწალონა რა უნიფიკაციის მეთოდები

საბინაო და ელექტრულ-საყოფაცხოვრებო ობიექტთა მშენებლობის გადაყვანა ქარხნული წესით დამზადებული ნაწილების მონტაჟზე შესაძლებელია მხოლოდ სამშენებლო დეტალებისა და ელემენტების მაქსიმალური უნიფიკაციისა და მათი ნომენკლატურის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებით.

სახლმშენებელი კონბინატები ზეენი ქვეყნის მრავალ ქალაქში იმეამდ უკვე უშვებენ საცხოვრებელი სახლების დიდ რაოდენობას, რომელთა დამონტაჟება სამშენებლო ბაზაზე სულ მცირე დროის განმავლობაში ხდება. ამ ქარხნების რიცხვი და ნათ მთერ გამოშვებული სახლების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

საბინაო მშენებლობის იმ განაღობული პროგრამის განხორციელება, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა, შესაძლებელია მხოლოდ ქარხნული სახლმშენებლობის მკვირთად განვითარების პირობებში.

სამკოთა არქიტექტორებმა და მშენებლებმა, რომელთაც შეძლეს მასობრივი მშენებლობის ტემპების აყვანა ჯერ არნახულ სიმაღლემდე, ჯერჯერობით ვერ უზრუნველვეს პროდუქციის მაღალი ხერითომომცურულ-მხატვრული ხარისხი.

ზეერ ქალაქსა და დასახლებულ ადგილში ეს ძილად აგებული სახლები ჯერ კიდევ მისაწყენი და ერთფეროვანია. ამის მიზეზი უნდა ვეიოთ არა იმდენად პანელების, ბლოკებისა და სხვა ნაყოობათა მოპირკეთების მდარე ხარისხში, რამდენადაც თვით ტაბობრივი პროექტების, სუსტ არქიტექტურულ კომპოზიციაში. ასაწყობი ელემენტების ტან-ზომათა რაოდენობის შემცირება ხშირად გვეკონენება, როგორც მიზეზი შენობის მოსაწყენი ერთფეროვნებისა.

ერთ-ერთი გზა ამ წინააღმდეგობის დაღლვისათვის თანამედროვე ინდუსტრიული სახლმშენებლობის პირობებში უნდა ვეიოთ ვარიანტული დეტალების გამოყენებაში, ახლ დიდი დეტალების დამზადებაში მცირე ზომის ვარიანტული ელემენტების საშუალებით.

ასეთი შვილიერ ყოველთვის როდი ვწინააღმდეგება ტექნოლოგიის ვიშიერულ მოთხოვნებსა — მაქსიმალურად გაიზარდოს სახლის უნიფიკირებული ელემენტების (ცედლის პანელებისა და სხვ.) ზომები, ხომ შეიძლება

უცვლელად დაკტოვოთ კედლის პანელის უნიფიკირებული ზომები, მაგრამ ვცვალოთ ფილებით მოპირკეთების ნახატი? შისიჯან დასაცავი აურული კედლის პანელების დამზადებისას შესაძლებელია ვარიანტულები გავეთდეს კერამიკის ან ბეტონისაგან წინაწარ დამზადებულ ჩასაწყობი ნაწილები, რომელთა უნიფიკირებულ მოახუელობა სხვადასხვანაირად მოპირუნების შემთხვევაში აეულოლი ნახატის სხვადასხვა სახეს მოგვეცემს. დაბოლოს, შეიძლება მოძრავი გავეთდეს თვით ფორმის ელემენტებიც, რომელთა ამოღება, წადება ან მათი მდებარეობის შეცვლა აურული პანელის ვარიანტებს მოგვეცემს. ამ საშუალებებით შესაძლებელია ქარხნული წესით დამზადებულ სახლებსაც კი ერთმანეთისაგან განსხვავებული იერი მიეცეს. არქიტექტურული ელემენტების უნიფიკაცია საერთო პრობლემა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს აგარკვის კადრატის სავსემდეგზე დამუშავებული ვარიანტული ელემენტის კომპოზიციის საკითხებზე.

ეს პირველადი ვარიანტული ელემენტი შეიძლება წარმოადგენდეს კედლების ან ქერის მოსაპირკეთებელი ფილის რელიეფურ ორნამენტს, იატაკის ფილების ფაქტურულ (ნაწეხილ) ან ფერად მოხატულობას, ლითონის ვიტრაჟების ან ზღაღების სმელ აურულ ორნამენტს (რომელიც პლასტმასისაგანაც შეიძლება დამზადდეს), კერამიკულ ან ბეტონის რელიეფურ ბლოკს აურული მხის-საფაიი პანელების ასაწყობად, შხაურისა და დეკორაციული ქსოვილების მოხატულობის რაპორტს და სხვ.

ტაბულეში მოწოდებული სახეების პირველადი ელემენტის ნახატი ეყარება ქართული ორნამენტის ტრადიციულ მოტივებს, რომლებზეც აქ დასმული ამოცანების სპეციფიკობისათვის დაეპირებოთ საგრძნობი ვადამუშავება განიკადეს. ორნამენტის ნახატთა უმეტესობაში შეხარუნიებულია ქართული ჩუქურთმის არა მხოლოდ მონახულობის ხასიათი, არამედ მისი კონსტრუირების მეთოდებიც: ტექტონიური ბადის ორგანიზაცია, წნულის ვიანების თანმიმდევრული გადამბა, წნულის ელემენტების პროფილირების ხასიათი და, რაც მთავარია, საერთო ნახატის მრავალფეროვნება. ქართული ჩუქურთმა მყარ

მასალაშია წარმომოხილი: ხეისა და ქვაში. თითოეული დეტალის ამოკეთება დიდ ენერჯისა და ღრის მოთხოვნს. მათს უნიფიკაციას თითქმის არა აქვს არცერთი აზრი, რადგანაც სულ ერთია — ყოველი მათგანი ოსტატის ხელოთ იკეთება. ორი ერთნაირი მოხატულობის ჩუქურთმის ამოკეთება მოთხოვნა იმდენსავე ღრს, რადგანაც სხვადასხვახანისა. ამიტომაც არის, რომ ქართულ არქიტექტურაში ერთს ნახავთ ერთ დარბაზში ორ ერთნაირ დედაბოსს, ერთ ტაძარში ორ ერთნაირ სვეტისათვის. თითოეული მათგანი მუდამ ოსტატის ინდივიდუალურ ელფერს ატარებს.

რადგანაც ჩუქურთმის ამოჭრა კუსტარული წესით სრულდებოდა, ელემენტების გაცირ უნიფიკაციას არ ჰქონდა არცერთი აზრი მათი ერთი ოსტატის მიერ შესრულების შემთხვევაშიც კი. ამიტომაც, რომ ერთგვაროვანი ელემენტების ნაირსახეობა ზმირად ერთი კვის ფარგლებშიც კი შეიძინევა.

ძველი ქართული ხელოვნობის მკვლევრებმა ქვაში ამოკეთებული ჩუქურთმის მოტივებს შორის გვხვდება ისეთი სახეებიც, რომელთა კომპლექსითაც შეიძლება ორნამენტის რამდენიმე ვარიანტს შეგვედგინო.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მოტივების ვარიანტულობა არ ყოფილა წინასწარ გააზრებული, რადგან ამ მონახულების პირველი შესაძლებლობანი ჩუქურთმის კომპლექსიში არსად არაა რეალიზებული.

ვარიანტულობის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს სამწერისის ცნობილ ტაძართან მდგარ აკლამბაში გამოყენებული შირაქეციის ფილები. XVI საუკუნიდან შემორჩენილ ოფდიათაზე ვგებმალარს შორის მოიპოვება ორი ისეთი კომპლექსიცაც, რომლებიც თითქმის განკუთვნილი უნდა იყოს უსასრულო ხალისივანი ჰანოს ასაწყობად. ამ ფილების ნახატი წარმოადგენს დიდი მოტივის დეტალურულად (ჩაუკეტად) ნაწილს. ჩუქურთმის მოხატულობიდან ისიც გარკვეულად ჩანს, რომ მათი შესრულებისას არ იყო გათვალისწინებული ვარიანტული ორნამენტის ასეობა. თითოეული ამ ტიპის ელემენტებისაგან შეიძლება მხოლოდ ერთი სახის ხალისივანი ჩუქურთმა აიწყოს*.

სამწერებლო ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე და ისიც მასობრივი მშენებლობის ობიექტებში არაა გონივრული კუსტარულად შესრულებული დეტალების გამოყენება. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელოვნობის მკვლევრებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ქარხნული წესით დამზადებულმა კერამიკულმა დეტალებმა, ცეცხლისაგან (ან თანამშრომისაგან) ჩამოსხმულმა ორნამენტებმა. ამ უკანასკნელთა ქარხანაში დამზადება არ აღნიშნავს რენტაბელუროს, რადგან მათი გამოყენება უმთავრესად ერთი შენობით (ან შენობათა კატარა ჯგუფით) განისაზღვრება; დეტალებს გარკვეული ინდივიდუალური იერი ჰქონდათ მინიჭებული, რის გამოც ისინი მთავრებული იყვნენ ვარიანტულობის თვისებებს.

ორნამენტული ფილების ქარხნული წესით დამზადება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანმიმართული, თუ შეიქმნებოდა ელემენტის უნიფიკირებული ნახატი, გამოსადეგი ჩუქურთმისთვის მოტივების რამდენიმე ნაირსახეობის ასაწყობად.

ანგვარი ფილების მასობრივი დამზადება ხელს შეუ-

I სკიმი

რელიეფური, პირდაპირი და სატყეისკური
ტაბ 1-6



II სკიმი

რელიეფური მთლიანი და ნახევარკუთხედიანი
ტაბ 7-16



III სკიმი

მეტაქსი, ხატიანი, უყარტი
ტაბ 17-32




IV სკიმი

აყურული ლაიონის ხსენი
ტაბ 33-40



V სკიმი

ხატუნი, აყარა
ტაბ 41-48




VI სკიმი

მრტყელი, ორგვარიანი (პოლიკლორკინილის)
ტაბ 49-56



VII სკიმი

ორგანიანი გლიკი (კერამიკული)
ტაბ 57-63



* ნ. შაისურაძე, ქართული შირაქეციების საკითხისათვის, ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 3, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1950, გვ. 201, ტაბ. 97.

წყობა მათს ფართოდ გაავრცელებას სიიფის, მოხერხებულობისა და ვარიანტულობის მოხებით, რასაც ვრცელი, ამ შემთხვევაში, თუ ისინი ამავე დროს მალაშტატრული ღრისებების მქონე და მშენებლობაში ადვილად მოსახმარი იქნებოდნენ.

ამ წარმოდგენილი ტბულები შედგენილია მოტივეების 17 სერისაგან, თითოეულ მათგანს საუძელად ფორი

პირიანხალი ორნამენტის აგება

ტბულების შვიდი სერია შეიცავს შემკული ვარიანტული ფილები (ან სხვა ელემენტები) სახეთა დიდ რაოდენობას, რომელთა განხორციელება სხვადასხვა მასალაში და ხერხობითდღეულ გარემოცვაში ნაერთადვე. ამ ტბულებში მოკმეულ ასაწყობ ელემენტებს ერთმანეთთან აერთიანებს მხოლოდ კომპოზიციის აგვის პრინციპი, რაც მათს შივალსახოვანებაში, ვარიანტულობაში გამოიხატება.

ტბულებსა და პირველი სერია შედგენილია რელიეფური, ტერაკოტის ფილის ორი სახესხვაობისაგან: პირდაპირი და სარკისებური ნახატი ფილისაგან. მეორე სერიის საფუძვლად ორი რელიეფური მონუმენტული ფილა აღებულია: სრული, ანუ რელიეფური და ნახევარი გლუვი. მესამე სერია შედგენილია უკვე ბრტყელი, ფერადი ნახატი შემკული ფილებისაგან, რომლებიც აქ, ისე როგორც წინა სერიაში, ორი სახესხვაობისაა: სრული და ნახევარ გლუვი (ნახევარზე მოხატული). ტბულებს მეოთხე სერია ერობ ტიპის სხელი აერული ორნამენტის კომპოზიციის შედეგ წარმოადგენს. სახეობს მესხეთ უკვე უფრო უფრო გამოყენებულია ბრტყელი, ნახატი ორნამენტული ელემენტის ექვსი ტიპი. მეექვსე სერია შედგენილია პოლილორვინილის ორი, ორფეროვანი ფილების საფუძველზე; ტბულების პოლი, მეშვიდე სერია კი წარმოადგენს კერამიკული ან ბეტონის აამეტრული მოხატულობის, დღე ბლოკების წყობის კომპინაციებით მიღებულ სახეებს, განუთვინის აერული პანელისით.

ჩვეტილი კონტურების აწყობას (როს შესაძლებლობა ნახევარ გლუვი ფილაზე) გამოიყენა კიდევ ერთი სახესხვაობის ფილის დაბეჭდა ყოველ სერიაში — გლუვი ფილის, რომელიც შეკვლობის დროს ზოგჯერ სათვალავში არ იღებთ, რადგანაც მათგანს ამ მოთვალევამი ფილის შემკულობის ვარიანტული ნახატი წარმოადგენს.

ამ წარმოდგენილი ტბულები შედგენილია წინასწარ დაშლაბული პირველი ელემენტისაგან — სახეების აწყობის აქ მოთხობილი მეთოდით. მოტივეებს პირველ და მეორე სერია იატაკზე აწყობილი სახეების სურათებს წარმოადგენს. ყველა ტბულსა, რომელიც ფორმოათვიბითაა წარმოდგენილი, ფილებს მიღლებს (80x80 მმ ზომის) ერთისა და იმავე კომპლექტისგანა შედგენილია.

პირველი სერიის ფილები (ტაბ. 1—6) ტერაკოტისა, მეორეს კი (ტაბ. 7—16) — თანამიზისა, შესრულებული აეტროსის მესამეული მოდლის მიხედვით.

სახეების შედგენილი (ტაბ. 17—32) აწყობილია ლითოგრაფიული წესით გამრავლებული ნახატების (ფერადი

(ან მოტივის) რამდენიმე სახესხვაობა უდევს, რომელთა საშუალებითაც აწყობა რაბორტი ხალიფიანი. ზოლოვანი ას როხტის ტიპის ორნამენტისა. რაბორტის ვან, ნეორება ყადაბრულ ბაღზე უბრალო გაღატანის (ყვედრების) საშუალებით ქმნის ორნამენტის სხვადასხვა სახეს.

1 ნახ-ზე (ტექსტში) წარმოდგენილია ორნამენტის იმ პირველი ელემენტების (ფილების) ტიპები, რომლებიც გამოყენებულია ტბულებში თავმოყრილი ყველა სახის ვარიანტული ჩემპრობების ასაწყობად.

ანბეჭდების) საშუალებით. დაბეჭდილი იყო სრული ფილებისაგან შედგენილი ერთი, 15 ელემენტის შემკეული ნახატი დასაფრე ეგზეპლარი, რომლებიც შემდგომ ცალკე ფილებად დაატრა და დაწებებულ იქნა ქალღამურ (ყადაბრული ბადის საფუძველზე) წინასწარ შედგენილი სემების მიხედვით.

ამგვარადვე შესრულებული დინარჩენი ტბულებიც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბოლო სამი სერიის ნახატები ფოტოკაბელებზე იყო გამრავლებული, კაიკის ნეგატივთან კონტაქტური ბეჭდვის საშუალებით.

ამ ზოგად ცნობების მოწოდების შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ტბულებში წარმოდგენილი ვარიანტული ორნამენტების განმარტებასა და აგვის წესებზე.

1. რელიეფური ფილების ორი, პირდაპირი და სარკისებური სახისაგან შედგენილი ორნამენტი (ტაბ. 1—6)

ამ სერიაში გამოყენებული ორივე ფილა, პირდაპირი და სარკისებურიც (ან: მარჯვენა და მარცხენა), ერთი ნახატი საფუძველზე აგებული იმგვარად, რომ ერთი მათგანი მეორის სარკისებური ანატივს წარმოადგენს. ნახატის აგვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რაბორტის ტექტონიკურ საფუძველად აღებულია დიაგონალური მდებარეობის პოლილორვინული, პლასტიკური მოხატულობის ფორმა, რომელიც თავისუფალი ბოლოებით ყადაბრის მოწინააღმდეგე ვერცხვს ეხვერება მოპირდაპირე კუთხებთან. ამ ელემენტის ასეთი პოზიცია ფილის ნიშნების მიმართ საშუალებას ვაძლავებს შევადგინოთ ორნამენტის როგორც ტალისებური სახეები, ისე სიმეტრიულად გარემოწერილი ნებისმიერი ზომის ჩვეტილი კონტურებით, მათი კონცენტრებილი ან სხვადასხვა გაზაბებით.

1-ლ ტბულსა შემკეული ხალიფიანი ჩემპრობის ორი სახე, პირველი მათგანის რაბორტი შედგენილია ოთხი ფილისაგან ისეთნაირად, რომ ბადის წვეროებში ოთხივე (ორი პირდაპირი და ორი სარკისებური) ფილის ერთგვაროვანი კუთხებია თავმოყრილი. მეორე მათგანის რაბორტი შედგენილია ორი (მარჯვენა და მარცხენა) ფილისაგან.

მე-2 ტბულსა შემკეული პირველი ხალიფიანი მოტივიც ოთხფილიან რაბორტზე აგებული, შეერთების წერტილებში უკვე ორ-ორი ერთგვაროვანი კუთხების თავმოყრილი. ამ ტბულში მეორე ორნამენტული მოტივი — რაბორტი აწყობილია 12 ფილისაგან. მე-3 ტბულს

პირველი მოტივი შედგენილია დიდი რაპორტისაგან 4x4 ფილის ზომით: ჩუქურთმის მეორე საბჭო ამ ტაბულაზე აგებულია ორგვარი რაპორტისაგან, რომლიდან ერთი მარჯვენა და მეორე მარცხენა ფილებისაგანა შედგენილია. მ.ე-4, მ.ე-5 და მ.ე-6 (ნახაზის სახით წარმოდგენილი) ტაბულაზე მოცემულია ხალორები ორნამენტის სხვადასხვა ვარიანტი. ბოლო (მ.ე-7) ტაბულაზე ჩანს ორნამენტული მოტივის გადიდობის ის დიდ შესაძლებლობანი, რომელიც შეიძლება მოცემა განსხვავებული დამუშავებულში (მაგ., ფილის საშუალებით) ცალკეული ფილების ჩართვამ ანაწყობის კომპოზიციით.

ამ სერიის ფილებისაგან შეიძლება აიწყოს დინამიკური, ერთხმური მიმართული კომპოზიციებიც ან მარტო მარცხენა, ან მარჯვენა ფილების გამოყენებით**.

მედლოში ექსპერიმენტული მუშაობის პროცესში ამკარია გახდა ამ ფილების მთელი რიგი ნაკლოვანებები. მათი ნახატი ვერ უზრუნველყოფს აწყობილ საბჭო ტექურთმის ელემენტების ურთიერი გადამბას, რაც ქართული ორნამენტის ესოდნ დაბასათათებულ და მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს. ფილება ან იძლეობს საშუალებას აიწყოს მიმართული კომპოზიციები, რომლებიც და ზოლოვანი ორნამენტი. ამას გარდა, ჩუქურთმის თანხარი სიმკრეობის გამო სახის მთელ ზედაპირზე ვარაიანტებს შორის განსხვავება შორი მანძილიდან თითქმის არ შეიძლება.

2. ორნამენტი, შედგენილი ორი (რელიეფური და ნახევრად გლუვი) ფილისაგან (ტაბ. 7-16)

ამ სერიის ვარიანტულ ფილებში აღმოცენილია შეძლებისდაგვარად ზემოთ განხილული ორნამენტის ნაკლოვანებები. ამის საშუალება მოგვცა ნახევრად გლუვი ფილის შემოტანამ და კუთხვების თავისებური ნახატი მოგვცა, რომელშიც ერთმანეთთან ორგანოდ გადადამბული ორნამენტიანი ბოლი (ნახატის ბადის საფუძველი). ორნამენტული ხლართის ბოლოები ამ ტიპის ფილებში წვეულ-წვეილადაა მიყვანილი კვადრატის ოთხივე კუთხვებში მისი წიბოების მართობულად. ამ ფილების დამუშავებისას უარე ვთქვით სარკისებური სახესხვაობის გამოყენებაზე. ამან გამოიქცია ფილის ძირითადი ნახატის სიმეტრიულობის აუცილებლობა მის დიაგონალზე გაბავალი სიმეტრიის მიმართ.

ნახევრად გლუვი ფილა აქვს იმეორებს რელიეფური ფილის კომპოზიციას, მხოლოდ მის მოცილებული აქვს დიაგონალური ღერის ერთ მხარეს მდებარე ჩუქურთმების რელიეფი. ამ სერიის ნახევრად გლუვი ფილის შემოტანამ საკანონობლად გააძლიერა ორნამენტული სახეები, მინაშე ნახატს ვარიანტულობის ახალი შესაძლებლობანი.

მ.ე-7 ტაბულაზე წარმოდგენილია ზოლოვანი ორნამენტი საბი რიგის სიმბოლის (ზემოთ), ორიგინალი (ქვემოთ) და ხალიჩოვანი ჩუქურთმა, შედგენილი რელიეფური (სრული) ფილებისაგან, მოარშობებული ზედა მხრიდან ნახევრად გლუვი ფილებით; მ.ე-8 ტაბულაზე ორი არსშია მოცემული, რომლიდანაც ერთი აგებულია ოთხი ნახევრად გლუვი ფილისაგან შედგენილი ჩაკეტული რიზებებით. მეორე ხალიჩოვანი ჩუქურთმა, აპირეტული

ნახატი**. მ.ე-9 ტაბულაზე წარმოდგენილია ოთხი სიმეტრიის მიმართ სიმეტრიული სახე-რაპორტი 6x6 ფილის ზომის; ქვემოთ მოყვანილია სამი ორნამენტისაგან შედგენილი კომპოზიცი. შეთანხმებ, ნახევრად გლუვი ფილების გარდა, გამოყენებულია ოთხი მთლიანი (რელიეფური) ფილა.

ფილის მ.ე-10 ტაბულაზე შედგენილია მთრეე ტაბულაში მოცემული ფილის გაორკეცული ნახატის საფუძველზე. ხალიჩოვანი მოტივი მ.ე-10 ტაბულაზე წარმოადგენს 36 ფილისაგან შედგენილი სიმეტრიულ კომპოზიციას-რაპორტს; მ.ე-11 ტაბულაზე მოცემულია ოთხი ფილის სიმბოლის არშია და ხალიჩოვანი მოტივი ოთხივე ოთხი რაპორტით.

მ.ე-12 ტაბულაზე მოცემულია ორხეობი 6x6 ფილი (გლუვი ცენტრით) და ხალიჩოვანი ჩუქურთმა ოთხივე ოთხი რაპორტით; მ.ე-13 ტაბულის პირველი ნახატი წარმოადგენს არშიის დიაგონალური მიმართულების ღერის, რაც მეტად აძნელებს მის გამოყენებას ჩუქურთმის შემოსვის პრობემები (ნაკეციების პრობლემატიკური და ვერტიკალური მიმართულებით). ქვემოთ-რითული რიზებია, შედგენილი 6x6 ფილი. მისში გამოყენებულია 24 ნახევრად გლუვი და 8 რელიეფური ფილა. ეს და შემდეგ ტაბულები ამჟღავნებენ ნახევრად გლუვი ფილის დიდ შესაძლებლობებს ჩუქურთმის შივალენიარის სახეების შედგენაში. ამ სერიის დანარჩენ ტაბულაებზე (ტაბ. 14, 15 და 16) წარმოდგენილია ფილებისა და რიზების (ან ხალიჩოვანი ორნამენტის) კომპოზიციები ჩუქურთმის მოხუდული კონტურებით, რომელთა აწყობის შესაძლებლობასაც ნახევრად გლუვი ფილა ვეაძლევს.

ამ ტიპის ფილების ნომენკლატურის შესავსებლად კარგი იქნებოდა, რელიეფური, ნახევრად გლუვი და გლუვი ფილების გარდა, შემოვიტანოთ კიდევ ერთი ტიპი ნახევრად გლუვი ფილისა, რომელსაც გლუვი დამუშავებული კენჭები დიაგონალური ელემენტის მეორე (მარჯვლენი საწინააღმდეგე) მხარე ამ ღონისძიების აუცილებლობა და რენტაბელობა საქარია შემოწმდეს პრაქტიკაში.

3. ორნამენტი ორი (სრული და ნახევრად გლუვი) ბრტყელი ფილისაგან (ტაბ. 17-32)

მოტივების მესამე სერია აგებულია ბრტყელ ფილაზე დახატული ფერადი ორნამენტის საფუძველზე. ნახატის კომპოზიციის აღნაგობა ისეთივეა, როგორც იყო წინა სერიის ფილებში. სახუთა ვარიანტებს შორის მტკი კონტრასტულობის მისაღწევად გაცილებით უფრო მინაშე-წინის აღმობინდა განსხვავებული ფერებით გაორგევი არა ორნამენტის ნახატი, ამავედ მისი ფონი. ამავე მიზნით (განსხვავების თვალაწინიერობისათვის) ფონზე დტანული ორნამენტი, მედებარე დიაგონალური ღერის ერთ მხარეზე, უმართლადა დახატულია ამ დიაგონალურ ჩარეობებს მეორე მოტივი კი (დიაგონალის მეორე მხარეზე) საკანონობლად დაცილებულია ამ დიაგონალისაგან.

ამას გარდა, ფერადი ფილების ნახატის სტრუქტურაში უფრო მკეთრადაა გამოვლენილი ორნამენტის გადასამბეული კვანძები, რომლებიც კუთხვებში იყარის თავს. ასეთი ფილებისაგან აწყობილ სახეებში ტექტონიკური ბადის ორნამენტული ხლართები ბევრად უფრო დაბაკერბელი გამოვიდა.

* ზედა და ქვედა რიგი ამ რაპორტში არ შესეს.
** Г. Борисовский, *იტ.*, გვ. 180; ვარს. «Архитектура СССР», № 4, 1953, გვ. 32.

მე-17, მე-18 და მე-19 ტაბულებზე, რომლებიც ერთი ტიპის ფილებისაგანა შედგენილი, მოკემულია ხაზოფიანი რამპრების საფუძველზე აწკობილი სამი თიხისფერი სახე. მე-20 ტაბულაზე ხაზოფიანი ორნამენტები შედგენილი 4X4 ფილის რამპრებისაგან; 21-ე და 22-ე ტაბულებზე მოკემული მოტივები დიდ რამპრებზეა დაფუძნებული, მაგრამ ისინი შემოხლდულია ნახევარი გლუვი ფილებით. 23-ე ტაბულაზე წარმოდგენილია თავისებური ფრისი გლუვი შეუღლებით და ორი უბრალო ხაზოფიანი მოტივი. პირველი მათგანს მიუღებელი ფლა-რამპრის უბრალო გადატანით კვადრატული ბაღის ღრმების გასწვრივ. 24-ე და 25-ე ტაბულებში მოტივები წარმოადგენენ 4-ჯილისანი რამპრების (პირველი) და 36-ფილიანი რამპრების ხაზოფიან ორნამენტებს. 26-ე ტაბულა შედგენილია არშიის სამი და ოთხი ფილის სიმაღლის ორი ნახტომი. 27-ე, 28-ე და 29-ე ტაბულებზე წარმოდგენილია მოზარჩობული ხაზოფიანი სახეები 6X6 ფილიანი რამპრით. 30-ე და 31-ე ტაბულებზე ნახევრები ხაზოფიანი ორნამენტისა და ფრისების მოტივები. შედგენილი უმოკლესად ნახევარი გლუვი ფილებისაგან. ხაზოფიანი სახე, მოკემული 32-ე ტაბულაზე, შედგენილია 16-ფილიანი რამპრებისაგან.

ამ სერიაშიც ისე როგორც წინ განხილულში, ფილების სამი ტიპისათვის (გლუვი ჩათვლით) შეიძლება დაგვემატებინა კიდევ ერთი — ნახევარგლუვი ფილა მკორე ფერის ფონით.

4. ორნამენტები ერთი ზეწრული ჩამოსხმული

კლემენტისაგან
(ტაბ. 33-40)

ჩამოსხმულ ორნამენტულ ელემენტებში, რომელთაც აქვრული ჩეკურიზიანი მოტივების შედგენის საშუალება უნდა მიეცათ, საჭირო იყო გავეყოფაღისწინებია მათი მიხერხებულად მიმართვის საჭიროება ვისისთვის ვერტიკალურ ღეროებისა ან (მკორე ზომის ვიტრეების აწერების შემთხვევაში) ერთნაწილად გადამის შესაძლებლობა. ნახტომი, რომელიც ამ წარმოდგენილ მოტივებს უდევს საფუძველად, აგებულია ნახევარად გლუვი ფილის კომპოზიციის პირციხვად, დიაგონალს მზიდან ჩაკეტილი კონტურით და კვდრატის მხოლოდ ერთი ნახევრის მოზარჩობით. ორნამენტის სიმავე კუთხე ისეა შესრულებული, რომ გადაიღვინდეს მათი ურთიერთ გადამის ანა მარტო მიღების საშუალებით (რაც საგრძნობლად ამარტივებს საკითხის გადატანას), არამედ ლითონის ჩარჩების დახმარებითაც. რისთვისაც ენემების სიმავე კუთხეში დატოვებულია სპეციალური ხერხები.

ამ ელემენტის ჩამოსხმული მოდლებანი უქონლობის გამო ტაბულაში მოკემულია ორნამენტის ნახტომი რეპროდუქციებისაგან შეწვებული მოტივები იმგვარადვე როგორც მესამე სერიის ტაბულებში იყო შედგენილი. კუთხეების გადაბმა ტაბულებში პირობით არაა ნახევრები.

33-ე და 34-ე ტაბულებზე წარმოდგენილია ორი აქვრული ხაზოფიანი (პირობით) ორნამენტი, შედგენილი ოთხეულმეტრიანი (პირველი) და ორეულმეტრიანი რამპრებისაგან. 35-ე და 36-ე ტაბულაში შეიკავენ დიდი რიხეტისა (4X4 ელემენტები) და ორსიმაღლიანი არშიების მოტივებს; 37-ე და 38-ე ტაბულებზე მოკემულია დიდი (ერთბაპრტიანი) ორნამენტული რიხეტები.

პირველი მათგანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ლითონის ვიტრეკალური ან პირობითად კალური საფუძველზე. 39-ე ტაბულის ორნამენტულ ელემენტებზე შედგენილია წარმოდგენილი კომპოზიციით ოჯე ელემენტის სიმაღლეზე. მე-40 ტაბულაზე მოკემულია აქვრული ორნამენტის გამოყენების მაგალითი ლითონის აღმავლის ვარგზე.*

უფრო შიკარხსა ხაზოფიანის შესადგენად და აგრეთვე მათგანს ხაზოფიანი ორნამენტული სახეების ასაწეობად (კარგელი შეუღლებდის გარეშე) სასურველია კიდევ ერთი ტიპის ელემენტის დამატება — მთლიანი ელემენტის, რომელშიც ორნამენტული დიაგონალური ღერის ორივე მხარეს იქნება ვანლაგებული.

5. ორნამენტული, შედგენილი ექვსი ბრტყული

ფერადი ფილისაგან
(ტაბ. 41-48)

ამ სერიის ორნამენტული ნახტომი განკუთვნილია უმდაეტესად იატაკის ფილებისათვის. შეიძლება იგი კედლის შესამოსი ფილების დასაფუძველდაც იქნეს გამოყენებული. პირდაპირი პირობად სახელ ნავლისსმევიან მებრახის ფილები. ნახტომი შეიკალებულია გამოყენებული იყოს რელიეფური ფილების დასაბრტყულებლადაც.

ამაღელ განხილულ სერიაში ფილების ნომინალურად არ იძლეოდა ორნამენტის მთელი რიგი სახეების შედგენის საშუალებას, მაგალითად, ისეთი ზოლოფიანი არშიების აწკობისას, რომელთა ღრები (და გვერდები) ფილებს წიბოების პარალელური იქნებოდა, ისეთი მოარჩევილი ხაზოფიანი ორნამენტის შედგენისას, რომელთა ჩარჩოები წიბოების პარალელური ექნებოდა, დიაგონალური ღერის გამო, რომელიც ამთავრებდა ნახტომად გლუვი ფილის ნახტომს, ან ტიპის ფილით შეიძლებოდა შემოხლდულიყო ორნამენტი მხოლოდ დიაგონალური ტიხებით.

ამ ნაკლის გათვალისწინებით ორნამენტების ახალი სერიის ფილთა ნომინალურად (იხ. ნახ. 1) შეესულია ექვსი სახის ფილა: პირველი ორი ჩვენს პირობით ობიექტურს ეუწოდებთ, რადგან ნახტომის ბოლოები ფილის ოთხივე კიდემდა მიეცემა; მეორე ობიექტურა ფილა (ჯვარისებრი) სიმეტრიულია (სიმეტრიის ოთხი სიმბრტყით)**, რის გამოც იგი მოკლებულია ვარიანტულობას. მუხებდავად უნდა იგი სიმბრტყული იქნებოდეს. მესამე ნომინალურად დატოვებული, ე. ი. ამ მხრიდან ფილა კუთხე ორნამენტის კომპოზიციის. ნახევრად გლუვი ფილის ორის ამ სერიაში ასრულებს მთლიან მეთხუთს ტიპი — ოკიდურა კუთხური ფილა, რომელსაც სიმუქისათვის შეიძლება გამოიყენებოდა უფროსი ეუწოდებთ. მის თავისუფლად აქვს დატოვებული ფილის ორი მისამდგრე გვერდი. მეხუთე ტიპი — მეორე ოკიდურა ფილა, რომელსაც შემოკლებული

* აქვრული ორნამენტის ეს ელემენტი, ოჯისაგან ჩამოსხმული, გამოყენებული იქნენ მებრტყულების ერთნაწილ საკუთხებებში სისლის აღმავლის კარგზე, ტიხების უქნაზე.

** თუ შედგენილებაში ამ მოვლეთ ორნამენტის წესის ასიმეტრიულობის ფილის შემთხვევაში ჩვენი შეკვლისათვის არა აქვს მნიშვნელობა.

ბით რიგითსაც ეუწოდებთ. ამ ორკიდურა რაგვით ფილაზე თავისუფლად (გადამის გავრავალსწინებლად) დატოვებულია ორი, ერთმანეთის შიშისდასაძირე გვერდი. ფილის მეექვსე ტიპი—ცალკიდური—მხოლოდ ერთი შრიდან შეიძლება გადავსო ორნამენტს. დანარჩენი სამი მხარე ამ ფილის თავისუფალი აქვს, რის გამოც იგი მხოლოდ ორნამენტული მოტივების (ძირითადად არშიის) დასამთავრებლად შეიძლება გამოადგეს.

ფილების ამ ჩამოთვლილ ექვსი ტიპიდან (თუ არ ჩავთვლით ველვას) ძირითადი სახეებია: ოთხკიდურა ვარიანტული (სიმეტრიული ერთი დიაგონალის მიმართ), სამკიდურა და ორკიდურა კუთხური. დანარჩენი ფილების გამოყენება თუმა საგრძობლად აძლიერებს ორნამენტული მოტივების რეპერტარს, მაგრამ დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ამ სერიის ფილათა მოხატულობის აგებაში შემოტანილია კიდევ ერთი სახეზე: წუხლის ცახები ფილის კუთხეებიდან საგრძობლად და გაწეულ ცენტრისაკენ. რაც საშუალებას იძლევა უფრო მეტად გამოვიყენოთ რეპერტარის ტექტონიკური ურთიერთგადახლართული ზადე რთული არანბესკული ორნამენტის სტრუქტურაში.

41-ე ტაბულაზე წარმოდგენილია სახეების ორი ჩატეხილი კომპოზიცია, შედგენილი კუთხური და სამკიდურა ფილებისაგან. ორნამენტის შემომხლდავი ნახტის კონტურებმა პირველად ამ სერიაში შიღის ფილის წიბოების პარალელური მიმართულება. 42-ე ტაბულაზე მოცემულია ხალიჩოვანი ორნამენტის ერთი სახე, რომელიც ოთხკიდურა (ვარიანტული) ფილის ერთი რიგისაგანაა შედგენილი. ამ ფილის საფუძველზე შეიძლება აიწყოს ხალიჩოვანი ორნამენტის სახეთა მრავალგვარი ვარიანტი. ამავე ტაბულაზე ნაჩვენებია არშიის ორი მოტივი.

შემდეგი ტაბულეზი (43-ე და 44-ე) დამოუბილი აქვს მხოლოდ კუთხური (ორკიდურა) ფილისაგან შედგენილ ორნამენტებს. გამოხალისს აქ მხოლოდ ერთი არშია შეადგენს (44-ე ტაბულაზე), რომელიც აწყობილია სამკიდურა ფილებისაგან. 45-ე ტაბულეზის ორნამენტები შედგენილია კუთხური და ოთხკიდურა ჯგავისებრი ფილებისაგან (პირველი), ორკიდურა ფილების ორივე სახესხვაობისაგან (მეორე) და კუთხური, სამკიდურა და ოთხკიდურა ფილებისაგან.

46-ე ტაბულაზე წარმოდგენილია დიდი ზომის (6X6 ფილა) ჩატეხილი ხალიჩოვანი კომპოზიციები და ორი ფილის სიგანის არშია. 47-ე ტაბულაზე მოცემული არშია (ზემოთ) შეკრულია ერთკიდურა ფილებით. იგივე ფილები აცხადებენ შუაში მოცემული ორნამენტული მანის კომპოზიციას. ტაბულის ბოლოში ნაჩვენებია არშია გაფართოებულია სამ ელვრატამდე ოთხკიდურა ფილის საფუძველზე.


სერიის ბოლო ტაბულაზე (ტაბ. 48) წარმოდგენილია ხალიჩოვანი სახე, აწყობილი გლვავი ფილების დახმარებით. ამ წილის გამოყენება მრავალფეროვანი ხალიჩოვანების ორნამენტების შესადგენად ახალ საშუალებებს იძლევა. რამორტის დიდი ზომებისა და ტაბულათა სიმცირის გამო ძნელდება ამ ხეზრის ფართო შესაძლებლობათა ჯეროვანი გამოყენება. მსგავსი სახეების შედგენისათვის რამორტად შეიძლება გამოყენებული იქნეს რიხეტისა და არშიის ნებისმიერი მოტივი.

ამ სერიაში საბოლოოდ დახატულა ვარიანტული ორნამენტის ფილათა სრული ნიმუშლატურა, მათი სახესხვაობის ოპტიმალური რაოდენობა 3—5 ფილის შემადგენლობით, ვარაზე გლვავი ფილის, რომლის შნიშვნელობაც რთული ორნამენტული მანოების შედგენაში უფრო ვახდა.

ნ. ორფერადი ფილებისაგან შედგენილი ნიმუშები (ტაბ. 49—56)

ეს ფილები იატაკისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მათი გამოყენება არაა გამორიცხული შიდა კედლების შესამოსავდაც. ტაბულაში წარმოდგენილი ფილად ვარიანტული ფილები შეიძლება დამხადეს პოლიკლორბენოლის გლვავი, ვერადი ფილებისაგან ზომით 300X300 მმ. რამდენიმე ფერის ასეთ ფილებს კარგა ხანია უწყებს რუსურის სამშენებლო ბრუნვება.

ჩვენი ფილების ვარიანტულობა დამყარებულია ორი სხვადასხვა ფერის A და B ფილის განსაკუთრებულ გაკვეთაზე MK ნიმართლებით (ნახ. 2). ამ ერთნაირად გაკრული ორი ფილისაგან, მათი ნახევრების ურთიერთშენაცვლებით და თითოეული ორფერადი წყვილის ერთად შეერთებით მივიღებთ ორ ორფერადი AB და BA სახესხვაობის ფილს, რომელთაც ჩვენ მარჯვენა-მარცხენა ეუწოდებთ.





ნახ. 2.

ეს მარტივი ოპერაცია—ფილების მრუდზე გაკვეთა და ნახევრების ურთიერთშენაცვლება, რაც არაა დავა-მრეხებელი არავითარი სიმძლევისთანავე შეძენილი ნებისხედაც, იძლევა დიდ შესაძლებლობებს მრავალი მარტივი და თანამედროვე სახეების იატაკების ასაწყობად.

ამ ფილაში მრუდი, რომელიც ნახატის ხასიათს განსაზღვრავს, არაა მიმართული დიაგონალურად, როგორც ეს სხვა სერიის ვარიანტულ ფილებში გვხვს. მსახველი ხაზი აქ კვადრატის წიბოების გასწვრივ გადის ისე, რომ მოწინააღმდეგე გვერდებს შუაზე ყოფს.

სასურველი ხაზის დიაგონალური მიმართულების უპირატესობაზე ზემოთ იყო სათქმელი. მრუდის ამგვარი მოხატულობა საშუალებას გვაძლევს შევქაჩნოთ ნებისმიერი სიღრმის რიმსიკებური ჩატეხილი კონტურები, მაგარი ნახტოებულმა ექსპლიმენტულმა მუშაობამ დაავარაშქუნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ორნამენტის საბეჭდოდ ორი ფერის გამოყენი სახლავაი გვეკლინება, ჩუქურთმავნი ფილებში გამოყენებული ხეზის სათანადო ეფექტს არ იძლევა. ახალმა მასალამ და ტექნოლოგიურმა მოთხოვნებმა ახალბურადა გამიზნეს ამოცანა და ახალი კომპოზიციური ხეზები მოითხოვეს.

ზემოთ აღწერილ სიმეტრიულ მრუდზე გაკვეთისა და სათანადო ნახევრების შექმნების შედეგად ვიღებთ ორი სხვადასხვა სახის—მარჯვენა და მარცხენა ფილს. მაგრამ შეიძლება ამოცანის უფრო მარტივად გადაწყვეტა: გაკვეთის მრუდი ისე შეირჩეს, რომ ნახევრების შენაცვლების შედეგად ორივე ორფერადი ფილა ერთნაირი მიიღოს. მე-3 ნახატზე წარმოდგენილია იატაკის სახეების



ნახ. 3.

რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ამგვარი გვეყვით შედგება მრეხვევი ერთი ტიპის ფილებისგანაა შედგენილი, როგორც ირკვევა, ეს თავისებური ფორმის მსახველი მრეხვი არ იძლევა სიმეტრიული რაპორტების შედგენის შესაძლებლობას და, რაც მთავარია, ორი მიმართულების სიმეტრიული ფილის საზღვრებში ამ მსახველს უეციერებს

ფიზიკურ მისაღებას, რაც აწყობილი სახის ნახევრის დევილიანებას იწვევს.

ამ სერიის ტაბულების უმრავლესობაში სახეების ასაწყობად გამოყენებულია მარჯვენა და მარცხენა ვიწროტრიბის თანხაბარი რაოდენობა, ასეთების ტაბულები 49—54, რომლებიც შედგენილია 2x2 ფილის რაპორტებისაგან. ამ ტაბულებში ყველა რაპორტი შედგენილია ორი მარცხენა და ორი მარჯვენა ფილისაგან: 55-ე ტაბულა აწყობილია მხოლოდ ერთი სახის (მარჯვენა) ფილებსაგან იმ ანგარიშით, რომ სხვა სათავსში იგივე სახე შეიძლება აიწყოს (საპირისებური) — მეორე (მარცხენა სახესხვაობის) ფილებისაგან. ეს მოტივი პირველისაგან მხოლოდ ფერების შეხატულებით იქნება განსხვავებული.

ამ ტიპის ფილები არ იძლევიან საშუალებას, რომ კუთხეებში გადამხული ნაკეტალი არსებობს ავიწყობს. ვიწროტრიბით, ამ ტიპის იატაკები არ საჭიროებენ ტრადიციული ხეჩებებით მორჩარობას. აუცილებლობის შემთხვევაში ხელოვნური არსებობის გადასამტევი ფილები კუთხეებისათვის შეიძლება ავიღოთ გამოიყონ. 52-ე და 56-ე ტაბულებზე მოყვანილია არმის ორი ვარიანტი.

7. ღრუბრების ბლოკების შედგენილი სახეები (ტაბ. 57—63)

ამ ტაბულებზე წარმოდგენილია ერთი ტიპის კერამიკული ან ბეტონის მოცულობითი ღრუბრების ბლოკებისაგან შედგენილი სახეები. ისინი განკუთვნილია აუტრული სიბრტყეების ასაწყობად რკინაბეტონის ჩარჩოს საფუძველზე. ნახატის ვარიანტულობას აქ იძლევა ბლოკის ღრუბრების ასიმეტრიული გეომეტრია-დანაწევრება. ამ ელემენტის ნახატი ექსპერიმენტულია და ნატურაში შემოქმედების საჭიროებს.


ბლოკის ღრუს შემომსლდები წახნაგების სისქის შეფარდება საერთო ზომებისა და ბლოკის სიღრმე საჭიროა დახატულს ელემენტის საერთო ზომებისა და იმ მასალის მიხედვით, რისგანაც ის იქნება დამზადებული.

როგორ ავაწყოთ სახეები ნახევარში

ვარიანტული ორნამენტის ქარხნული წარმოების მოგვარების შემთხვევაში საჭირო გახდება მკირე ზომის კატალოგის გამოცემა იმ სახეების ძირითადი ნიმუშების სქემებით, რომლებიც შეიძლება ამ ტიპის ფილებით აიწყოს. სქემებს თან უნდა დაერთოს ფილების საჭირო რაოდენობის ანგარიში მათი ტიპების მიხედვით 1 კვ. მეტრ (ან 10x10 ფილის შემცველ) ფართობზე.

ორნამენტის სახეების კატალოგი შეიძლება შესრულდეს ნატურალან ვადალებული ფოტოსურათების რეპროდუქციის სახითაც და სქემატური ნახაზებითაც კვადრატული ბადის საფუძველზე. მე-4 ნახაზზე მოცემულია ერთი ასეთი სქემა 27-ე ტაბულისათვის.

ელემბა დავარწმუნეს, რომ ამგვარი სქემების მიხედვით რთული სახის აწყობაც კი არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. ახალი სახეების დაპროექტებისათვის სქემები შეიძლება შედგეს კატალოგიდან ამოჭრილი ფილების ანაბეჭდების შეწყობებით წინასწარ დახატულ კვადრატულ ბადეზე.



ნახ. 4.

მეორე ზომის რაპორტები შესაძლებელია დაფიქსირდეს რიცხვითი აღნიშვნების საშუალებითაც, როგორც ამას ა. ფილიპოვი აცხადებს. ამისათვის საჭიროა დანიშნოს ფილის ელემენტები (პირდაპირსა და სარკისებურნი ერთი ნომრით აღინიშნოს შესაბამისი ელემენტები) 1, 2, 3, 4. თანხვლიანი (თანხვლემენტაინი) რაპორტის დასაფიქსირებლად საჭიროა ისაა ორი ურთიერთგადადგეითი ხაზის ოთხ ელემენტზე ჩაიწეროს ფილის ელემენტების ის ნომრები, რომლებიც თავს იყრიან რაპორტის ცენტრში (იხ. სქემა). 16 ელემენტისაგან აწყოფილი რაპორტის შემთხვევაში მის ჩასაწერად საჭირო გახდება ოთხ ნაწილად გაყოფილი კვადრატის ელემენტებში ოთხი სათანადო ფორმების ჩაწერა.



მასშვავარგონის საკითხი და უიის ზომები

შეკარა, რომ უნიფიცირებული ელემენტების გამოყენება აძნელებს არქიტექტურული დეტალებისათვის ან ფრაგმენტისათვის სათანადო მასშტაბური დახასიათების მიცემას. ფილიპის (ან სხვა ვარიანტული ელემენტის) ბი-თოვული სტრუქტურა თავისთავად აკეთებული მასშტაბური წყობის მიხედვით. მიუხედავად ამ სიზუსტისა, ორნამენტის ნახატის დამუშავებისას ჩვენ ვეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეყვარებინათ კომპოზიციის ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის მოთხოვნებიანი. ფილათა ტიპების ნომენკლატურაში ნახვარად გლევი და გლევი ფილების ჩართვა გეძალდეს საშუალებას ავირჩიოთ ნებისმიერი ზომისა და კომპოზიციის რაპორტი იმის მიხედვით, თუ როგორია შენობის გარე მოცულობების ან ინტერიერის მასშტაბი, როგორია შენობის გარემოცვა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ კვლავის მოპირკეთება ახ იატაკის მოგება თავისთავად არ წარმოადგენს გადაწყვეტვას ფაქტორის შენობის (განსაკუთრებით ინტერიერის) მასშტაბის საკითხების დამუშავებაში. გადაწყვეტი აქ, რასაკვირველია, ხუროთმოძღვრული მოცულობის (ან სიღრმის) ტექტონიკური სტრუქტურა და ორნამენტული სამკაული, რელიეფური იქნება იგი თუ ფრაგმენტი, მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ფორმათა დაფორმანებაც კი, ესოდენ სახიფათო შენობის სტრუქტურული, ცენტრონიკური

როგორც დაცვირებები გვიჩვენებს, ამ მეთოდის არსებული გამოყენება სახეების ჩასაწერად არ უნდა იქნას მიზანშეწონილი მისი სირთულის გამო. ბევრად უკეთესია და თან მარტივად სახის სქემატური ნახაზის შედგენა უჯრედებთან ქალაქზე. ეს განსაკუთრებით ეხება ორნამენტების ისეთ სერაას, რომელშიც გამოყენებულია ფილათა ტიპების მეტი რაოდენობა, როგორც, მაგალითად, მკხეთ სერააში. ელემენტები აღნიშნული წესის გამოყენებისას ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ელემენტის შესაფერის ნომრებს გვერდზე მიუწეროს ფილის ტიპის აღნიშვნული ნომრები, რაც უფრო მეტად აზოულებს საკითხს.

ელემენტების დამუშავებაში, აქ დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს.

რელიეფური ფილების პრაქტიკულმა გამოყენებამ დაგვიანბნა, რომ ფილის შესაბამის ელემენტების ზომა უნდა მერყეობდეს 250 — 400 მმ-ის საზღვრებში, ინტერიერში გამოსაყენებელი ფილების ზომები კი — 150 — 250 მმ-ის ფარგლებში. ამ მხედველობაში გვაქვს ან ელემენტების გამოყენება მასობრივი მშენებლობის ობიექტებში და არა ელემენტური საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში, რომელთა მოპირკეთებაც შეიძლება მოხდეს მათთვის სპეციალურად დამზადებულ ნაკეთობათა საშუალებით.

ორნამენტის აქ წარმოდგენილ სახეობა უმრავლესობა თითო რაპორტის საფუძველზეა აწყოფილი რამდენიმე რაპორტის გაიჯერებს ერთ სახეში დიდ შესაძლებლობებს იძლევა ახალი მოტივების აწყობისათვის კონკრეტულ მოთხოვნილობათა შესაბამისად.

ამგვარად, გამოდის, რომ უნიფიცირებული ელემენტების გამოყენება, იატაკების დაგებაში იქნება ეს თუ კედლებში შემოსავაში, მათი საშუალებით სახეების გოაიჯერული დადგენა წარმოადგენს გარკვეულ შემოქმედების პროცესს, თუმცა ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანად განპირობებულია ავტორის არქიტექტურულ-მხატვრული ჩანაფიქრით, შენობის გარე მოცულობებისა და შინაგანი სივრცეების გადაწყვეტაში დასახული იდეის თავისებურებით.

პანიკანული ორნამენტის კომპოზიციის კანონზომიარება

ქვემოთ ჩვენ თავი მოუყარეთ იმ საკითხს დასკვნებს, რომლებიც მიღებულია ვარიანტული ორნამენტების ექსპერიმენტული დამუშავებისა და გამოყენების შედეგად. ეს დასკვნები ემყარება უმთავრესად მოვალსაზის მიუყვართებული ფილების, მხატვრულ დამუშავებას. მაგრამ როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთოდ ვარიანტული არქიტექტურულ-სამშენებლო ელემენტებისა და დეტალების დამუშავების დარგშიც, დეკორატიულ-გამოყენებითი ხე-

ლოვნების იმ დარგშიც, რომელთა მხატვრული პროდუქცია დაკავშირებულია ცალკეულ ელემენტთა გამარჯვებასთან.

ამ გამოკვლევაში ხალიჩოვანი ორნამენტის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ოჯახია განხილული, რომელიც კვადრატულ ფორმას ემყარება. არსებული ხეით მარალეულგრაფული სისტემიდან, რომლებიც ერთმანეთისაგან თავისი სიმეტრიით განირჩევიან, ჩვენ ვგარკვევლობთ მხოლოდ კვადრატის ერთი სისტემით — კვადრატული სისტემით.

* А. В. Филиппов, Укр., стр. 20.

* А. В. Шубников, Симметрия, изд. Акад. наук СССР, М.-Л., 1940, стр. 99.

მოსაპირკეთებელი ფილებისათვის კვადრატო ყველაზე მარტივი და მოხერხებულ ფორმაა, რომელიც ვარიატულ ნახატს შექმნის დიდ საფურცლებსაც იძლევა.

წესიერი ექვსკუთხედის ფორმა, რომელსაც ზოგჯერ მელტაის ფილებისათვის იყენებენ, ჩვენი მიზნისთვის ნაყოფიანადაა გამოსადგენი, რადგანაც მას შედარებით მეტი სიმძვინვარის სიბრტყეები აქვს, ვიდრე კვადრატს. ამას ვარაუდობ, იგი არ იძლევა მსხვილი ნახატის გამოყენების საშუალებას. წესიერი სამკუთხედის ფორმა (რომლებისგანაც) წესიერი ექვსკუთხედის (შედგება) არ პოულობს გამოყენების მოსაპირკეთებელ ფილებში, რადგან მას ბევრი ხალი აქვს, რომელიც შორის მთავარია მახვლელობას.

რა წინამძღვარებზეა დაფუძნებული ვარიანტული მხატვრული ელემენტების დამუშავების თეორია? რა შეიძლება აჯილათი გამოსავალ პრინციპად ვარიანტული ელემენტების შემქმნაში?

როგორც ცნობილია, ის აურაცხელი სიმრავლე მატერიალური საშუალოს ფორმებისა, რომელიც ჩვენ ვხვდებით გვირგვინში, შედგენილია შედარებით სულ მცირე რაოდენობის პირველადი ელემენტებისაგან. ბუნების ამ თავისებურებებს ანალოგიურად, მხატვარს ორი ფუნქციის მქონე კვადრატებისაგან შეუძლია შეადგინოს მხატვრული ნიშან-კარი ფორმისა ვინუსაზღვრული რაოდენობა. მოზაიკის ეს "ვარიანტული ელემენტები" შეიძლება შევადაროთ ატომს. შესანიშნავ ვარიანტულ ელემენტად არქიტექტურაში ათასობითი წლების განმავლობაში კაცობრიობას აგური ემსახურებოდა. სწორედ ამ მასალისაგან ქმნიდნენ ადამისაგანეთის ბილისტატების ხელოვნების უცხოთ შედგენილ სხვადასხვა ფუნქციის კვადრატული ფორმებიც (50x50 მმ მოზაიკა). რომლებიც დიდი პერიოდის მოსაპირკეთებლად გამოიყენებოდა მოსკოვის საბინაო მშენებლობაში. შეიძლება ჩათვალოს ვარიანტულად და გამოსადგენად მრავალფეროვანი საბუნების შემქმნისათვის.

მაგრამ არც მოზაიკის ელემენტს, არც აგურსა და არც მოსაპირკეთებელ გულვ ფილებს არაფერი აქვთ საერთო ამ განხილულ ვარიანტულ ელემენტებთან. განსაზღვრულ პირობათ ჩვენ მხოლოდ ისეთ ელემენტს ეუწოდება, რომელსაც მხატვრული კომპოზიციის ჩანასახი მიაჩნ აქვს და რომელიც კომპოზიციითაც შეიძლება აიწესოს მხატვრული დეტალში ან ფორამენტში. ამგვარად ვარიანტული ორნამენტის ატომს, კი აღარ ენსაგებება, როგორც მოზაიკის ელემენტი ან აგური. არამედ მოლეკულას. ამ ცალკე მოლეკულებისაგან მხატვრული მთლიანობის მატარებელი კომპოზიციის აწყობა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მარტივი შემოქმედებითი პროცესი (ამ ცნების ხუსტი ნაშენებლობით). ამ ფილებისაგან მხატვრული მოტივის აწყობა, რასაც ვერცხვითა, იგივე არ არის, რაც, მაგალითად, ორფერადი კუმენტისაგან მოზაიკის აწყობა. ან ერთი ფორმისა და ფერის აგურისაგან კედლის ორნამენტული სახის შექმნა. არც მოზაიკის კენჭი და არც საკედლო აგური არ არიან თავისთავად რაიმე მხატვრული აზრის მატარებელნი: მათგან ორნამენტის აწყობა, როგორც მარტივიც არ უნდა იყოს იგი, უნდა ვახილოთ იქნეს როგორც შემოქმედებითი პროცესი.

იქნისათვის, რომ მცირე ზომის ელემენტებისაგან აიწყოს მხატვრულად ჩადგინებულ მთლიანი სახე, ეს ელემენტები-მოლეკულა გააზრებული უნდა იყოს თავისდა, როგორც ამ მთლიანი სახის ნაწილი. ამგვარად, მისი ნახატის შემქმნა მთლიანი კომპოზიციიდან უნდა დაიწყოს. მთლიანის ეს ნაწილი მიღებული უნდა იქნეს როგორც

მხატვრულად გააზრებული მთელის დანაწევრების წარწილად (ადიპის) შედეგი. ამ მხა ელემენტებისაგან შედგენილი მხატვრული სახე-გამოხატვა მქონეა და არა ელიზაბეტისა და ზოგჯერ მისი პოეტური შექმნილობისაგან. რომელიც დაიხატა ელემენტების როგორც მხატვრული სახის ნაწილისაგან შექმნაზე.

ელემენტებისაგან მხატვრული სახის შედგენის გადაცილება წარმოადგენს დიდი უნებართვო ფორმის (როგორც მხატვრული ნაწილის) ძიებამდე დაბრუნების პროცესს.

ამ შეიძლება ვარკვეული ანალოგია ვაგატაროთ კონკრეტული მანქანის მუშაობის პრინციპთან: როგორ პროგრამასაც ჩადებენ, ისეთვე შედეგს მიიღებ. ეს შედეგი წარმოადგენს პროგრამის შედეგსავე დაბრუნების ენერჯის კომპენსაციას, თუმცა კი უზარმაზარი მარტივი ქმედების კომპოზიციით.

რაც უფრო ნაკლებია ორნამენტის ელემენტი რაბორტის ზომიდან შედარებით, მით უფრო ვარიანტული იგი. სრული წრე, ჩაწერილი კვადრატული ფორმა, ამ კვადრატის არ ანიჭებს ვარიანტულობის თვისებებს: მას მხოლოდ ნახატის ერთი სახე შეუძლია მოგვცეს. მაგრამ წრე, გაყოფილი ოთხ ნაწილად, მეოთხედის წრე, ჩაწერილი კვადრატული ფორმა, გვაძლავს უკვე ვარიანტების უფადა რაოდენობას. მე-5 ნახაზე წარმოადგენილია ამ ვარიანტების მხოლოდ მცირე ნაწილი.

მაგრამ ამ დანაწევრებას (მოლეკლას) აქვს თავისი სახე-ფერები. მეოთხედი წრის შემდგომი გაყოფა ოთხ ნაწილად (ოთხად), რაცვე ჩვენ მხოლოდ კვადრატულ ფორმას ვიხილავთ), უკვე აღარ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს: ვერ ერთი, ვიდრე ოთხი სახე-ფერების (გულევის ჩაბოლოება), მეორეც, მათი საშუალებით მხატვრული ორნამენტის მჭირვე სახის აწყობა (თუ ეს შესაძლებელია) უზარალო საქონს რომ წარმოადგენს, ეს მოსაბ ინიტო, რომ პირველადმა ელემენტმა დაგვარა წრის (როგორც მხატვრული სახის ნაწილის) სასიათი, მან შეეცდებოდა არსებობა, როგორც მხატვრული თვისებების მჭირვე "მოლეკულა". იგი უკვე ამ თვისებებს მოკლებულ უნახო "ატომად იქცა (იხ. ნახ. 6).





ამ შემდგომად, ვარიანტული ელემენტის შემქმნა ნიშნავს ნახატის ისეთი შემქმნალობის შედეგად, რომელიც სიდიდის მჭირვე უნიფორმობის მატარებელია (ან ნაწილობითი) მჭირვებას, რომელთა საშუალებითაც უზარალო აწყობების გზით შეიძლება ამ შევადგინოთ მხატვრულად დასრულებული სახეების მრავალი ვარიანტი.

ქვემოთ მოცემულია ვარიანტული ორნამენტის აგობის ძირითადი კანონები კვადრატული ფილის საფუძველზე**.

* ჩვენ შესაძლებლობაში არ ვლბთ ფილების წყობას ვადავით, რომელიც მასში მეორე ვარიანტსაც ვგაძლევს.


** ძირითადი მოთხოვნებებში ვარიანტული ფილის ნახატის საფუძველად ა. ფილავის შემდეგ ჰოს ბენტონი აქვს ფორმულირებული:

- 1) ნახატის ხაზები ამ მისი შედეგის სიბრტყეების სწორად კვადრატის ელემენტად და გვარდების შუალედ იყოს მყდანილი;
- 2) ნახატის კვადრატობა კვადრატულ ასაბრტყილი უნდა იყოს;
- 3) ნახატის ეფერაზე არ უნდა ჰქონდეს მკვეთრი, დამოუკიდებელი სახე;
- 4) ნახატის მჭირვე ამ შემთხვევაში იძლევა ორნამენტის ვარიანტად დიდ რიცხვს, თუ იგი არაა სახეობის მთლიანობის ანუ ხედა და ქვედა მხარე (A. B. Филатов, ცტკ. გვ. 19).



ნახ. 5.

1. ხალიჩოვანი ორნამენტის სახეებისათვის სიმეტრიული რაბორტის ასაწყობად საკმარისია ფილის ნახატის ერთი ტიპი, რომლის კომპოზიცია ერთ-ერთი დიაგონალის მიმართ სიმეტრიულად უნდა იყოს აგებული. ნახატი, დაფიქ-



ნახ. 6.

ნებული ორი ურთიერთმართობული სიმეტრიის სიბრტყეზე, არა ვარიანტულად.

თუ ფილის ნახატი ასიმეტრიულია, მაშინ სიმეტრიული რაბორტების ასაწყობად საჭიროა გვერდნეს ორი ტიპის ფილა, მარჯვენა და მარცხენა ნახატი.

ორი ტიპის (მარჯვენა და მარცხენა) ფილებისაგან შეიძლება აიწყოს უფრო მეტი რაოდენობა სახეებისა, ვიდრე ერთი ტიპის სიმეტრიული ფილებით. ნახატის ელემენტის ზომა, მისი სიმახი ფილის სიდიდესთან შედარებით, ასიმეტრიულ ნახატზე ორჯერ მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე სიმეტრიულზე.

2. ფილის ნახატი არ უნდა იყოს მოზოლდული, ჩაკეტილი; კუნძულისებრი კომპოზიცია ნაკლებ ვარიანტულია, მას არ შეუძლია მოგვეცეს ორნამენტის უწყვეტი სახე.

ნახატიც ელემენტები კვადრატის კიდევამდე უნდა იყოს მივანოლო.

3. ნახატის ტექტონიკური ბაღის შესაქმნელად დიდ შენადლებლობებს აძლავნებს კომპოზიციის დიაგონალურად წარმართვის ხერხი. ამგვარი კომპოზიციის დროვანი ელემენტი იძლევა ორნამენტის ნებისმიერი მოსავეითის მონაჩივების საშუალებას.

ამგვარი დიაგონალური ღეროს მქონე ნახატი შეიძლება აიწყოს უფორგვარი კომპოზიცია, რომლის სტრუქტურა ბაღე შეიძლება დიახატის უჯრედებთან ქაღალდზე უჯრედის კუთხეთა დიაგონალურად შეურთების საშუალებით, ამ ხაზების გადაკვეთიდან კვადრატის ფარგლებში. სწორედ ასეა შედგენილი აქ წარმოდგენილი ორნამენტების პირველი ორმოცი ტაბულა.*

ნახატს, რომლის ბოლოები კვადრატის კუთხეებამდე კი არაა მიყვანილი, არამედ მოწინააღმდეგე გვერდების შუა წერტილებზე გადის, არ შეუძლია მოგვეცეს მონარჩობული კომპოზიციის რაბორტი.

ნახატის მრუდე ხაზი, რომლის ბოლოები კვადრატის ორ მოსაზღვრე წიბოს ეხებინება, თავის მსგავს კუთხეებთან ერთად აღგენს ჩაკეტილ კონტურს (მთკელ ხართვის* სახით).

4. ორნამენტის ტექტონიკური ბაღის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ხაზოვანი ელემენტების მიერთების ადგილებზე კვადრატის წიბოებთან ოთხივე გვერდზე კუთხეებიდან ერთნაირად უნდა იყოს დაშორებული.

5. რამდენადაც უფრო კონტრასტულია გამყოფი დიაგონალის აქეთ-იქით მდებარე ორნამენტის ნახატის ფორმები, იმდენად მეტად შეიძლება განსხვავება სხვადასხვა ვარიანტის სახეებს შორის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გადაჯაბბეხულ სხვადასხვაობას ნახატის ფორმათა

* იხ. აგრეთვე დიაგონალის პრინციპზე აგებული ელემენტებისაგან შედგენილ ტაბულაში სტემა მე-4 ნახატი.

ხსიათში შედგომა დაარღვევის სახეთა სტრუქტურის ერთობაშია.

6. ხალიოვანი სახეების მოწარმოებისათვის, როზეტენისა და ნარდურების ასაწყობად ფილის დიაგნოსტიკური ანტიტულების ძირითადი (სიმეტრიული) ტიპს უნდა დავამზადოთ ნახევარად გლუვი ფილა, რომელსაც დიანაგნოსტის ერთ მხარეს მოქცეული ადგილი გლუვად ექნება დატოვებული.

